გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შაჟურდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს & გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი



კვირას, 30 მარტს
არწრუნისეულს თეატრში.

«ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქნება:

## სალიტერატურო საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. გაბუნია, საფაროვისა, ბბ. თ. რაფ. ერისთავი, თ. აკაკი წერეთელი, პ. უმიკაშვილი, არ. ქუთათელაძე, ნიკ. ავალოვი, აბაშიძე, აწყურელი, გუნია, და ქართული ხორო.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი
დასაწყისი 8 საათზედ.

ბილეთები ისყიდება ამ თავითვე თეატრის კასსაში. (3—3)


ტფილისი, 28 მარტს

მეორე ნაწილი ეხლანდელის ინგლისისა შოტლანდიაა. შოტლანდიაში, საცა 20 მილლიონზედ მეტი აგრი მიწაა და სამს მილლიონზედ მეტი მცხოვრები, უველაზედ მდიდარი მამულის მეპატრონენი არიან მთელს დედამიწის ზურგზედ. აქ ამოდენა მამულზედ სულ 7,273 კომლია მამულის პატრონი. მათ შორის არიან იმისთანანი, რომელთაც ერთ მილლიონ ნახევარი აგრი მამული აქვთ, მაგალითებრ, გრაფი სოტერლანდი. 26 კაცს ეკუთვნის ერთი მესამედი მთელის ადგილ-მამულისა. ამ ოც-და-ექვსს კაცში თითქმის ერთი არ არის, რომ ნახევარ მილლიონ ფრანკზედ ნაკლები შემოსავალი ჰქონდეს წელიწადში. ამათში მილლიონ ნახევრიდამ ორ მილლიონ ფრანკამდე თოთხმეტს კაცს აქვს შემოსავალი წელიწადში, ერთს ჰერცოგ ჰამილტონს 2,851,825 ფრანკი აქვს, ჰერცოგ ბოკლეის 4,603,500 ფრანკი შემოსდის ყოველ-წლივ.

აქ, შოტლანდიაში იმავე მიზეზებმა იმოქმედეს, რაც ინგლის-ვალისში, და ადგილ-მამული 7,273 ხელში მოჰკრიბეს. იმ მიზეზებს ორი სხვა მიზეზიც დაემატა აქ. გაროლები, შოტლანდიის მებატონეთა ერთგულების გამო, აქ უფრო მწყალობელის თვალით უყურებდნენ დიდთა-მებატონეთაგან მამულების დაჩემებას, ვიდრე ინგლისში. ინგლის-ვალისის მებატონეთა ცდამ, რომ მაიორატობა კანონით აღიარებულ იყოს, როგორც ვნახეთ, უქმად და ამაოდ ჩაიარა ინგლისში და მარტო ჩვეულების ძალით-ღა დაიწყო სუფევა, აქ, შოტლანდიაში კი მთავრობამ ამაში მიწათ-მფლობელთ ხელი შეუწყო და XVII საუკუნეში მაიორატობა გააკანონა, გარდა ამისა იმისათვის, რომ საშვილი-შვილოდ დაუმტკიცდეთ საქმითაც დიდ-კაცობას მამულები, ერთი დონე იყო შემოღებული, რომელიც ინგლისში «*clearing of estates*»-ად არის ცნობილი. ქართულად ეს სიტყვები დაახლოებით ასე ითარგმნება: «განწმენდა მამულებისა». ეს «განწმენდა მამულებისა» იმაში მდგომარეობდა, რომ უწინ საკომლოდ მიცემული მამულები მიწათ-მოქმედებისათვის, რომელიც მერე საიჯარო მამულებათ გადიქცა, გლეხ-კაცობას ჩამოერთვა, საბატონო მამულებს მიეწება და ამ სახით მებატონეთა სრულს განკარგულებაში ჩაცვივდა. ინგლისშიაც იყო ამისთანა ამბავი, მაგრამ იქ 1448 წ. სტატუტით მთავრობამ ამ უწყალო საქმეს საზღვარი დაუდვა. შოტლანდიაში კი, საცა დიდ-კაცობა უფრო ძლიერი იყო და თავის ერთგულებისათვის უფრო წყალობილი კოროლის მიერ, ეგ საქმე დაუბრკოლებლად მიდიოდა და წარსულს საუკუნეში ისეთის გამარჯვებით დაგვირგვინდა, რომ დიდ-კაცობამ ხელთ იგდო მთელი ძამულები, გლეხთა მიერ ნაჭერი და გლეხ-კაცობა მამულებიდამ აჰყარა.

ამ აყრილ გლეხთაგან ვისაც ღონე და შეძლება ჰქონდა ამერიკაში გადავიდა და ვისაც არა, უალაგო-ალაგას ზღვის პირას გლდეებზედ ქოხები გაიკეთეს და თევზის ჭერით თავს ირჩენდნენ, ან არა და ფაბრიკის და დღიურ მუშებათ ჩაეწერნენ. ჩრდილოეთი შოტლანდია მეტად მთიანი ქვეყანაა, აქ ხვნა და თესვა ბევრს არას იძლევა და ამიტომაც «განწმენდილ მემამულეთა» აქ უფრო პირუტყვის მოშენება ირჩიეს. პირუტყვთ მოშენებას ფართო ადგილები უნდა და ამის გამო აქ, ჩრდილოეთ შოტლანდიაში შიგადა შიგ ჩაჩხირებული სოფლები გლეხ-კაცობისა უფრო უშლიდა დიდთა მებატონეთა, ვიდრე სხვაგან. ამ «მამულების განწმენდის» წესმა აქ უფრო ძლიერ და სასტიკად იმოქმედა ნამეტნავად წარსულ საუკუნეში. გაუქმდა მოსახლეობა გლეხობისა, მთელი სოფლები აიყარა და სოფლების ნაოხარზედ წმინდა ბეწვიანი ცხვარი-ღა დადიოდა. 1792 წლის არეულობამ, რომლის მსხვერპლად შეიქმნა რამდენიმე ასი ათასი უბოროტო და უდანაშაულო ცხვარი, არაფერი უშველა გლე-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

დიდ-მარხვის მყუდროება პარიჟში.—ლისტი საფრანგეთში.—მისი ცხოვრება.—ლისტის ბერად შესვლა.—მომავალი მისი მოგზაურება.—ბოლგარიის მთავარის დის წიგნი.—პრინცი მესტამბენი.—აფრიკის სამეფო დაგომე და მისი წყობა.

—

დიდს მხიარულებას ყოველის ერისას პარიჟში, დიდი დუმილი და მყუდროება მოჰყვა. თუმცა დიდ-მარხვაში ყოველივე შესაქცევარი ადგილები ისევ ისე კარ-ღიაა, როგორც წინედ, მაგრამ ლხენისა და ქეიფის «სეზონმა» გაიარა. ეხლა მთელი პარიჟი გამოჩენილს გენიოსს არტისტზედ ლაპარაკობს. არტისტი ესე გახლავს გამოჩენილი ფორტეპიანოს დამკვრელი და სამუსიკოს მთხზველი ფრანც ლისტი, რომელიც ითვლება პირველ და შეუდარებელ დამკვრელად მე-XIX საუკუნეში. რვა წელიწადია, რაც ლისტი პარიჟში არა ყოფილა. მოსვლის უმალ პარიჟშია, თვით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მივიდა პირველი მის სანახავად.

როგორც ზემოთა ესთქვით, ევროპიის საზოგადო ცხოვრების მყუდროდ დენისა გამო, ჩვენც უნებლიედ უნდა მივჰყვეთ მის მყუდრო მდინარეობას და მშვიდობიანი, უწყინარი ლაპარაკი გავაბათ ლისტის ვინაობაზედ, რადგანაც ამ კვირას საფრანგეთში გმირი მარტო ის არის. მართალია, ბევრი რამ ხდება საყურადღებო ინგლისშია, მეტადრე ბელგიაში, მაგრამ ისეთი ამბები ჩვენ არ შეგვეხება, რადგანაც იგინი წარმოგვიდგენენ ევროპიულ ცხოვრებას 'უფრო პოლიტიკურის მხრით... მაშასადამე ბოდიშს ვიხდით, რომ დღევანდელი ფელეტონი დიდ-მარხული გამოვა, გინდ ლისტზედაც ვილაპარაკოთ, რადგანაც იგი, როგორც შემდეგ ვნახამთ, ბერი გახლავს.

ფრანც ლისტი დაიბადა ვენგრიაში 22 ოქტომბერს 1811 წელსა. მამა მისი თავადი ესტერჰაზის მოურავი იყო და კარგად იცოდა მუსიკა, რომლის სწავლებაც თითონ დაუწყო თავის პატარა შვილსა. რვა წლისა იყო, როდესაც პატარა ფრანცი საჯაროდ გამოვიდა კონცერტში დასაკვრელად და დიდად განაცვიფრა ხალხი თავისის ხელოვნებით. ერთს გერმანიის ქალაქში, შეხვდა ორ თავადს, რომელთაც მოიწადინეს მისი ხელის შეწყობა სწავლის დასრულებისათვის და ექვსის წლის განმავლობაში ას-ას თუმანს აძლევდნენ ლისტსა სასწავლებლად, პირველად ვენაში დაიწყო ფორტეპიანოს სწავლა, გამოჩენილ ოსტატს ჩერნისთან და ჰარმონიისა კი—განთქმულს სალიერთან. ორ წელიწად შემდეგ ლისტი მივიდა პარიჟში და საფრანგეთის კონსერვატორიის კარებს მიადგა... მაგრამ ამაოდ. იგი ვერ მიიღეს, რადგანაც სხვა ქვეყნის შვილი იყო და არა საფრანგეთისა. მაგრამ ლისტი იმისთანა ყმაწვილი არ იყო, რომ ამ გვარ ამბავს შეეშინებინა. მაშინვე კონცერტების გამართვა დაიწყო, და მთელი საფრანგეთის არისტოკრატები გააგიჟა ათის წლის ყმაწვილმა. ლისტი დიდ მოდაში შემოვიდა და ხელით დაჰყავნდათ ქალებსა, ცოტა არა ამ მოვლენამ ეს გამოჩენილი არტისტი გაანებივრა, და მის შემდეგს ცხოვრებას დიდი ბეჭედი დააჩნია. აქედამ ლონდონში წავიდა და იქაც დიდათ მოეწონათ და აღტაცებით მიიღეს. ყველანი უქადიდდენ, რომ «მოცარტი გამოხვალო»! ლისტი თოთხმეტი წლისა იყო, როდესაც საფრანგეთის ოპერის დირექტორმა ოპერის შეთხზვა მიანდო. ოპერა ძალიან სწრაფად დასწერა; იგი იქმნა წარმოდგენილი პირველად 17 ოქტომ. 1825 წელსა, მაგრამ სრულიად არავის მოეწონა!.. ამ დროს ლისტს მამა მოუკვდა და დარჩა მარტოდ-მარტო ქვეყანაზედ, 17 წლის ყმაწვილი, ობოლი, მაგრამ ქვეყნისაგან განებივრებული! შესაძლო იყო იგი აჰყოლოდა ცხოვრების სიამოვნებას, დაენებებინა სწავლისათვის თავი და მისცემოდა სიჭაბუკის ლხინსა და ქეიფობას... მაგრამ ლისტმა სხვა გზა ამოირჩია. მან შეიკეტა კარები და თითქმის ათი წელიწადი ფორტეპიანოს არ მოსშორებია, ამ დროს ავად შეიქმნა და მორჩენის შემდეგ ღვთის მეტყველობას მიეცა, რომელმაც, როგორც შემდეგ ვნახავთ, სოფელს მოაშორა და ბერობა ატვირთებინა. ათის წლის დაუღალავის მუშაობის შემდეგ, როდესაც ლისტი კიდევ საჯაროდ გამოვიდა, როგორც ფორტოპიანოს დამკვრელი, მთელმა ევროპამ იცნო უპირატესს დამკვრელად, და სახელი ესე აქამდის შერჩა, რადგანაც ჯერ მეტოქე და თანასწორი არ გამოსჩენია. ამის შემდეგ მთელი ევროპა მოიარა, სადაც კონცერტებს ჰმართავდა. მეტადრე დიდის აღტაცებით იყო იგი მიღებული რუსეთში. ამბობენ, რომ ერთს მდიდარს და ბებერს მებატონე-ქალს ისე შეუყვარდა... ლისტის ხელოვნება, რომ მთელი თვისი სიცოცხლე იმაში გაატარა, რომ ლისტს უკან დასდევდა. ამასაც კი უმატებენ, რომ ლისტმა ეს კარგად იცოდაო, და ყურადღება არც კი მიაქცია და გაცნობა ამ უცნაურ ქალისა არ მოინდომაო!... 1849 წელსა ლისტი გერმანიაში, ვეიმარნის ქალაქში დასახლდა, სადაც ამ პროვინციის მთავარმა სრა-სასახლის მუსიკთ-უხუცესობა მიანიჭა. დღესაც იქა აქვს ბინა ამ გამოჩენილს არტისტს, და ვეიმარნი პირველ მუსიკალურ ქალაქათ ითვლება გერმანიაში. ამ ქალაქში შეჰხვდა ლისტი ვაგნერსა და შუმანსა, ამ სამთა გვამთა შეადგინეს დაუვიწყარი სამუსიკო წრე «გერმანიის ათინაში», როგორც ვეიმარს ეხლაც უწოდებენ. შემდეგ ლისტმა თავისი უმცროსი ქალი მიათხოვა ვაგნერსა. ვეიმარში დამკვიდრებული ლისტი ხშირად დადიოდა რომში, და დიდ ღვთის მოყვარეობას იჩენდა. 1861 წელს ხმა გავარდა, რომ ლისტი კნეინა ვიტგენშტეინისას ირთამსო, მაგრამ ქორწინება ესე უკვე გადაწყვეტილი, უცებ მოიშალა. ამავე ჟამს საკს—ვეიმარნის მთავარს შეეშინდა ლისტი ბერად არ შევიდესო, და თვის სახლთ-უხუცესობა (კამერჰერი) უბოძა, რა არის, რომ მით მაინც ხელი აელებინებინა რომზედ; მაგრამ ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა. ყმაწვილობიდგანვე ჩანერგულმა ღვთის მოყვარეობამ მაინც გაიტაცა ლისტი, და 25 აპრილს 1865 წელსა, მაინც ბერად ეკურთხა, ვატიკანის სობოროში. ამის შემდეგ ლისტს საერო მუსიკა არა დაუწერია-რა; სულ სასულიეროსა სწერს. თუმცა იშვიათად, მაგრამ ხან-და-ხან ამ ოცის წლის განმაელობაში კიდევ უკრამდა, ანუ ორკესტრის უფროსად ენახვებოდა ხოლმე ხალხსა, და მოგროვილ ფულებს სწირავდა ეკკლესიას.

როგორც ზემოთა ესთქვით, ამ უკანასკნელ საუკუნეში ვერავინ შეედრება დაკვრაში ლისტსა; ნოტების სწრაფლ გარჩევაში, ხომ ამისთანა ჯერ არ დაბადებულა. ამბობენ, რომ საჯაროთ ისე ვერ უკრავსო, როგორც თავის მეგობართა შორისო, პატარა წრეში. მის თხზულებას ერთს წუნს მეტს ვერასა სდებენ, რომ მეტად ძნელ დასაკრავსა სწერს, ასე რომ მის მეტი ბევრი ვერავინ უკრავს მის დანაწერსა. ყმაწვილობის დროს, ლისტს მეტად უყვარდა თეატრალური ეფექტები. კონცერტის დროს, იგი გამოდიოდა თეთრის ხელთათმანებით და უკან ბიჭი ვერცხლის სინით მოსდევდა. ამაყად მივიდოდა თვის ინსტრუმენტთან, ერთბაშად წაიძრობდა ხელთათმანებს, დაჰყრიდა სინზედ, გადაათვალიერებდა დარბაზს, და გაუშტერებდა თვალებს რომელსამე წინა რიგში მჯდომელს მანდილოსანს, მის თაყვანის მცემელს. დაკვრის დროს თურმე ძალიან თავ-დამჭერი იყო და თითქმის გულ-გრილი. იგი თითქო ყურს არ აღევნებდა მას, რასაც უკრავდა და დადინჯებული ათვალიერებდა მაყურებელთ, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი მუსიკა. დაკვრის დროს ყოველივე მისი სხეული მოძრაობაში იყო; ერთის სიტყვით, მისი საგანი, აზრი ის იყო, რომ მსმენელთა ყურადღება მოეგო. დასასრულ ესეც დაუმატოთ, რომ ლისტი გამოჩენილის საფრანგეთის მწერალის ქალის ჟორჟ ზანდის მეგობარი იყო, მინამ ეს მოუსვენარი გენიოსი ქალი შოპენს და ალფრედ მიუსეს გაუმეგობრდებოდა.

* * *

ლისტი პარიჟის შემდეგ ლონდონში აპირებს წასვლას. შემდეგ ეწვევა

ხობასა. ჯერ მარტო სოტერლანდის მამულიდამ 1829 წლამდე 15,000 სული გლეხობა აჰყარეს და ადამიანის საცხოვრებლის მაგიერ პირუტყვთა საძოვრად გადიქცა ამოდენა ხალხის ნაჭერი მამულები. ამ სახით ჩრდილოეთ-შოტლანდიაში სხვილი მებატონობა ჩამოვარდა სხვილ-სხვილ ფერმებითა. მაგალითებრ, სოტერლანდის მამულში, რომელიც $1\frac{1}{2}$ აკრია, სულ 29 ფერმაა, ერთი ფერმა მეორეზედ 60 ვერსტის მანძილზეა და ამოდენა მანძილზედ ფერმიის გარეშემო სულ ტიტველა საძოვარი მინდვრებია თავიდამ ბოლომდე. სამხრეთს შოტლანდიაში უფრო შუათანა მებატონობა დარჩა და ფერმები წვრილ-წვრილნი არიან, იჯარით გაცემულნი. აქ მიწათ-მოქმედება მაღალ ხარისხზეა დაყენებული და დიდს შემოსავალსაც იძლევა.

ი.

## ახალი ამბავი

** კვირას, 30 მარტს ჩამოვა ტფილისში თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ი. მუხრან-ბატონი და თან მოჰყვება მასთან ერთად წასული ი. მეუნარგია. ეჭვი არ არის, რომ ბ—ნი ი. მეუნარგია, სხვათა საინტერესო ამბავთა გარდა, «ვეფხვის-ტყაოსანი»-ს სურათების შესახებაც ნამდვილს ამბავს მოგვიტანს მხატვარ ზიჩისაგან.

** ამბობენ, რომ ტფილისის ზოგიერთა რესტორანებსა და სასტუმროებში გაცხარებული ქალალდის თამაშობაა თურმე გაჩაღებული. ყომარბაზნი გატაცებით თურმე თამაშობენ და შუაღამისასაც-კი არ ანებებენ თავს ამ გვარ შექცევასო. საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს პოლიციამ.

** ამ დღეებში ერთს ცხენი-რკინის გზის მატარებელს, რომელიც ვერის თავ-დაღმართზე ჩადიოდა, ალაყი (ტორმოზი) გაფუჭებული ჰქონდა და ცხენებმა გააქანეს ისარივით. ზოგიერთნი მატარებელში მსხდომარენი გადმოცვივდნენ, ქალებმა შიშისაგან კივილი დაიწყეს და ერთი-კი ქ-ნი სტახოვსკაია დაცემის დროს ცოტათი დაშავდა კიდეც. ამასობაში ვაგონი არხეინად მისრიალობდა და მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როდესაც რელსებს დასცდა, ვერის ხევთან (გაზ. «Нов. Обоз.»)

** გაზ. «Новое Время» სწერს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას გარდაეცა 18 რვა-თვალიანი პაროვოზი ბ-ნის სტრუვეს კოლომანსკის ქარხნიდან საზიდავის ღონის მოსამატებლადაო.

** ამ ჟამად ქალაქის გამგეობას ყურადღება მიუქცევია და ჰავჰავაძისა და იმ ქუჩების, რომელნიც ამ ქუჩას მარჯვნივა და მარცხნივ უერთდებიან, გასწორებასა და შეკეთებას შესდგომია (გაზ. «Кавказъ»)

** ამას წინედ ტფილისში გარდაიცვალა 111 წლის მოხუცებული სალომე ხანჯალოვისა, რომელიც თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კარგად იმყოფებოდა. თითქმის ყოველ-დღე შუა-ბაზრიდან ნავთლუღში და იქიდგან კიდევ უკან მიდი-მოდიოდა ხოლმე დაუღალავად. უკანასკნელ დროს მხოლოდ ერთი კვირა ივად-მყოფა და სრულიად მშვიდად დალია სული, თითქოს დაიძინაო. განსვენებული ძალიან ტკბილად სცხოვრებდა და მეტად ჩუმი ხასიათისა იყო (გაზ. «Кавказъ»-ი).

** ერთი ტფილისის რუსული გაზეთთაგანი შემდეგს ამბავსა სწერს: «გუშინ მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, მალაკნების სლაბოდკის პირ-და-პირ, მისულა 18 წლის ყმაწვილი-ქალი, გვარად ა—ვისა, ამოუღია ჯიბიდგან რაღაცა წიგნი და მიწაზე წამოწოლის შემდეგ, არხეინად დაუწყია კითხვა. მოგროვებულა მთელი ჯგუფა ხალხი, მისულა პოლიციის მოხელეც.

— «*M—lle*, უთქვამს მოხელეს, რას სჩადიხართ».

—«ვკითხულობ!» უპასუხნია ქალს.

— «ჰო, მაგრამ, *M—lle*, თქვენს თავს მეტად ცუდს მდგომარეობაში აყენებთ! შეხედეთ... მთელი ჯგუფაა ხალხისა მოგროვილი თქვენ საცქერლად!»

— «თქვენც ადექით და გარეკეთ!» ურჩევია თურმე ქალს და თან წიგნისათვის თავი არ დაუნებებია.

პოლიციის მოხელეს გამოუკითხავს იქ მყოფთათვის და, როდესაც ამ საოცარის ქალის სახელი და სახლი შეუტყვია, შეუტყობინებია მშობლებისათვის და მშობლებს ძალის-ძალად წაუყვანიათ სახლში.

** 27 მარტს, პოლიციის 4 განყოფილებაში ტფილისის მოქალაქის ქვრივი ანნა ივანეს ასული დავიდოვისა, 62 წლისა, უეცრად გარდაიცვალა. გამოძიება ჰსწარმოებს.

## ნარევი

მონადირეთა შორის გვესნა მეტად ხშირია. თავადი-შვილი დ.—ძე და აზნაური-შვილი დ. ბ—ძე ორივე გამოჩენილნი მონადირენი, ერთს წვეულებას დასწრებოდნენ. სადხი თურმე ბევრი იყო და ნადირობაზედ ჩამოვგდოთ ლაპარაკი. მონადირე თავადიშვილმა სთქვა თურმე:

— მე ჩემი და მიმყვანდა თავის სახლში. საღამო ხანი იყო და გზაზედ ერთი ღამაში ადგილი იყო, იქ ჩამოვხტით სამხარის საჭმელად. მინამ ბიჭები სამხარს მოიტანდნენ, მე ავიღე თოფი და იქავ ჯეჯილს ჩავუარე. ჩავლით თორმეტი კურდღელი მოვკალი, ახლა მეორე გვერდზედ ამოუვარე იმავე ჯეჯილს და თორმეტი ხოხობი ამოვლაში მოვკალით.

— რაო? იკითხა თურმე აზნაურმა დ. ბ—ძემ: კურდღლები და ხოხბები კადრილს თუ ჰთამაშობდნენო!..

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქსნის-ხეობა.** 9 მარტს. სამი უდიდესი კუთხე ქსნის ხეობისა: ცხრა ძმა, იგივე დაბაგნეთი, რომელიც მდინარე ცხრა მძღლას ნაპირებზე, მთის ზურგზე მდებარეობს, ჭურთა-მდინარე—ჭურთულაზე (ეს მდინარე ქსანს ერთვის სოფელს მონასტერში, სადაც მშვენიერი სობორიო დღესაც, ახალ-დაბა—მდინარე ქსანზე). ისე მოწყვეტილან ჩვენის განვითარებულ ცენტრებიდგან, ისე მიყრუებულან, რომ მათზე ჩვენს მწერლობაში ჭაჭანება არ არის. უძლიერესს მარცვს მთელის ქსნის-ხეობისას ეს სამი კუთხე შეადგენს. გაზეთს «ივერიას» საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებში ჰყავს საგანგებო მიამბენი გარდა ქსნის-ხეობისა. ჩვენის აზრით, ძალიან ბევრი ისტორიული, ეტნოგრაფიული და პალეგრაფიული მასალა უნდა იყოს ამ მივარდნილს ხეობის გულში. პატივცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ აქ, ქსნის-ხეობაზე იპოვნა შესანიშნავი გარანტი სახარებისა, დაწერილი მე-V საუკ.

ლომისის მთიდგან, სადაც ახალ-დაბის-ხეობის მიჯნები თავდებიან, და ცხრა წყაროებიდგან, რომელნიც ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიაშიაც მოხსენებულნი არიან, ვერც ერთს სოფელს ვერ ნახავთ, სადაც ძველებური ციხე არ იყოს. ყველა სოფლის წინ სდგას ამაყად ძველი ციხე, რომელსაც სოფელი საფარივით ამოჰფარებია.

ცხრა ძმის ხეობაში ერთი სოფელია, დადიანეთს უწოდებენ. ეს სოფელი ორს უბნად იყოფება. წინა უბანში ერთს ადგილას ნასახლარებია. კაცი რომ დააკვირდეს ამ ნასახლებს ცხადად მიხვდება, რომ აქ ოდესმე დიდი სასახლე ყოფილა. ვისთვის, სად, ღმერთმა და მეცნიერებამ უწყის!. ამ სოფლის უკან უბანშიაც არიან ნასახლარები და მათთან ძველი ციხე. ხალხის გარდმოცემა ამბობს, რომ ამ ნასახლარებში ერთს

---

ბოჰემიაში თავის გამოჩენილს შეგირდს სოფიო მენტერს, რომელსაც თბილისელები კარგათ იცნობენ, და რომელიც ეხლა ყველა დამკვრელთა შორის თავის ოსტატს უფრო მოგვაგონებს; ზამთარში იმავე მენტერის მიწვევით ლისტი აპირებს პეტერბურღს წასვლას, სადაც მისი შეგირდი სოფიო მენტერი კონსერვატორიის პროფესორად ირიცხება.

**

დიდი ხანი არ არის გერმანიაში გამოვიდა პატარა წიგნი ამ სათაურითა: «ჩემი მოგზაურობა ბოლგარიაში», რომელზედაც ავტორის სახელი თითო ასოთი არის დანიშნული, და რომელიც ეკუთვნის ბოლგარიის მთავრის დას გრაფინია მარიამ ერბახ-შენბერგსა. წიგნი არ არის გასასყიდი და დაბეჭდილია მარტო ავტორის ნაცნობთათვის. გრაფინიას აღუწერია თვისი მოგზაურობა თავის ძმის სანახავად 1884 წელსა. ეს თხზულება თურმე პირველი მაგალითი არ არის გრაფინიასი: სხვათა შორის მას დაუწერია თეატრის პიესა, რომელიც წარმოუდგენიათ დარმშტატის თეატრში და ძალიან მოწონებული ყოფილა. ზემოხსენებულ პატარა წიგნის ბოლოში ვკითხულობთ: «წიგნი ესე აწყობილ და დაბეჭდილ არს, პრინც ლუდვიგ ბატენბერგის და მის მეუღლის, მთავარ ჰერცოგის ჰესენ-დარმშტატის ქალის მიერ». როგორც ყველა პრუსიის სამეფო სახლის წევრსა, პრინც ლუდოვიგს უნდა აერჩია სასწავლებლად რაიმე ხელობა, და მან მესტამბობა აირჩია, და დიდად გავარჯიშებულია თურმე ამ ხელობაში. თავის სასახლეში მშვენიერი სტამბა თურმე აქვს ჰერცოგსა, და ამ სტამბაში მის მეუღლესაც უსწავლია ეს ხელობა.

**

წელს პორტუგალიამ თვის მფარველობის ქვეშ მიიღო აფრიკის სამეფო სახელად დაგომე, რომელიც მდებარეობს გვინეის სრუტის ახლოს. ამ ხალხს ევროპაში ჯერედ არავინ იცნობს, მხოლოდ ერთი მისიონერი ყოფილა და ის გვაუწყებს ამ ხალხის ვინაობას. რადგანაც ეს სამეფო ყოველთვის აოხრებული ყოფილა თვის მეზობელთთაგან, ამიტომ მისი მცხოვრებნი ქალი და კაცი სულ ყველანი ჯარის კაცად ირიცხებიან და რაზმებათ არიან დაყოფილნი. მთელი ჯარი რამდენსამე რაზმას შეადგენს. პირველი რაზმი შეიარაღებულია თოფებით, რომელიც ტყვიის მაგიერ ქვით იტენება; მეორეს აქვს შეილდი, რომელთ ისართ საწამლავი აქვს წასმული და ძალიან საშიშარია მტერთათვის. მესამე ნაწილი ამ ჯარისა 3,000 ცხენოსანი დედა-კაცია (ამაზონკები). ეს ჯარი თითქმის სულ ტყვეებისაგან არის შემდგარი. ომის დროს პატარა ქალებს მოსტაცებენ ხოლმე მტრებსა, იმათა ზრდიან და სწრთვნიან სამხედრო სამსახურისათვის. საშინელი ღონიერნი თურმე არიან ეს დედა-კაცნი და ყოვლიფრის ადვილად ამტანნი, შიმშილისა თუ წყურვილისა, და თვისის მორჩილებით მაშინას თურმე მოაგონებენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ომის დროს კაცურად აცვიათ. მეფე მათთვის სრულიად არა ზრუნავს, და საჭმელ-სასმელი ამ ჯარმა თითონ უნდა იშოვნოს. ამათ აქვს მინიჭებული ნება თიხის ჭურჭელი აკეთონ და გოგრა და სიმინდი მოიყვანონ. სხვა არავის შეუძლიან მთელ სამეფოში ამ ხელობის დაჩემება და ამით სცხოვრებს ეს საკვირველი ჯარი.

დონ ჟნ.

### ემირისეულის ქალი

(მოთხრობა)

(დასასრული *)

### VIII

ყველა გაჭირვებული, ჭარ-გაწყვეტილი, როგორც ჩვენში იტყვიან, მიატანს ხოლმე მდიდარს კაცს, ან მდიდარ ადგილს, რომ ხელი წაიცნოს, შიმშილით სიკვდილისაგან თავი იხსნას, რადგანაც ჰგონიათ, რომ როგორც გარეგნობით არიან მდიდარნი, ისე გულიც მდიდარი და მოწყალე ჰქონდეთ. სალომემაც მოატანა მდიდარ ადგილს, სადაც ის როგორმე დარჩებოდა. მას გზა უჩვენა თვისმა ბატონიშვილმა, მიიღო სალომეს გაჭირვებაში მხურვალე მონაწილეობა; უფრო მას შემდეგ, როდესაც სალომემ მას განუცხადა, რომ იგი მისი ნახევარ დაა; ამან ძიელ გააცვიფრა ბატონიშვილი, მაგრამ მალე დაიჯერა და იტვირთა ეს აზრი, რადგან ამისთანა შემთხვევა იშვიათი არ არის. სალომე დასახლდა ქალაქში; ის შეეკედლა მთაწმინდის ერთს მიყრუებულს უბანს. იგი სრული ობოლი გამოჩნდა ამ ზღვა ადგილას; ხორციითაც და სულითაც იგი განმარტოებულს არსებას წარმოადგენდა; მისი ტკივილი, ტანჯვა და ვაგლახი არვის ესმოდა; მის სულს ტოლი არ ჰყავდა, რომ გამთბარიყო; მისთვის არავის ეცალა: ხედავს ყველა ფათურობს, ყველა ირჯება, ყველა თითქო კმაყოფილია თავის ბედისა; ხრიალი, გრიალი ქუჩებში; ღიქლიქი კმაყოფილთა; ეკიპაჟების და ფაეტონების ზრიალი და ათას გვარი სხვა-და-სხვა ხმა ერთად შეერთებული სალომეს ასტერებდნენ; ის გაკვირვებით დასცქეროდა ამ საქართველოს კუჯს და ეგონა, რომ ყველა კმაყოფილი და მადლობელია თავის ბედისა. ამ ზღვა-ქვეყანაში მარტო თვითონ სწუხდა სულითა; თავის აზრით, მარტო ის იყო ამ ზღვა ხალხში უბედური. მან თვის სულის სანუგეშებლად, დასამშვიდებლად და გასამტკიცებლად მიმართა ტაძარს მთაწმინდისას—ამ ყველა გაჭირვებულის და ხელ-მოკლის მუდამ საფარველს და მისამართსა. «ადგილნი შენნი ვერანანი და უდაბნონი» ეხლაც სულს მოსწონს და გულს აკვნესებენ მწუხარედ. მთა-წმინდის მწვერვალები და მისი კალთები ოდესმე ხშირი ტყით, ტევრით, ყოფილა შემოსილი; იგი ოდესმე ყოფილა ბუდე გაჭირვებულთა და მოწამე მკვნესარე მამულის-შვილთა, რომელნიც, ვინ იცის, მის ბჭეთა დირესთან სისხლიდამ იწრიტებოდნენ და ავედრებდნენ ქვეყანას მტრისაგან გამოხსნისათვის. იგი მთაც მოხუცებულა; ჟამთა-ვითარებათა დაუნდობელს გრიგალს იგი მოუბერებია; იგი გაუმელოტებია; მის ნაქოჩრალზე ერთს ბუწს ველარ ვპოულობთ და მწუხარედ, თავ-დაკიდული გადმოსცქერია აზვირთებულს ქალაქს. მისი მუდამ ცრემლთ-მფრქვეველნი, მუდამ მტირალა შავნი კლდენი თითქო რასაცა ჰგლოვობენო. ის კალთები მთა-წმინდისა, რომელნიც ძველად ყოფილან მისამართნი და საფარნი გაჭირვებულ, მტერთაგან დევნულთა შვილთა, დღეს დაფენილნი არიან სახლებით, გავსილნი არიან ხალხით. როგორც წინად, ისე დღესაც მას ეკედლებიან გაჭირვებულნი, ობოლნი სულით. დღეს მას, მის უბანს, შეჰკედლებია სხვა-გვარი გაჭირვებული, სხვა-გვარი მებრძოლი არსებობისა: ხშირად მის არე-მარეს ეტანება მებრძოლი არსებითის ლუკმისა, ის მებრძოლი, რომელსაც ხატივით მუდამ წინ უსვენია შიმშილი, წყურვილი, ულუკმა-პურობა, ამისა გამო აღძრული ბოროტი მიდრეკილებანი და ბოლოს ოხერა-ტანჯვაში სიკვდილი. სახლი, რომელშიაც ბატონიშვილმა სალომე დააბინავა, მდებარეობდა მთა-წმინდის დასავლეთ ჩრდილოეთისკენ, სწორედ იმ ალაგას, საიდამაც იწყება ხევი. ოთახი იყო მაღლა, ხის ბოძებზედ შემდგარი; თვით ამ ბოძებს შუაც იყო ამოშენებული ოთახები და შეადგენდა ქვედა სართულს; ჩრდილოეთით მას ჰქონდა ფიცრის ღობე, ძალიან ძველი, ჩამტვრეული და ჩამპალ-ჩახავსებული. შიგნით ეზო იყო ხელის-გულის ტოლა, რომელშიაც კაცი ძლივს მოტრიალდებოდა. სალომეს ოთახს მისდევდა ვიწრო კიბე, რომელზედაც ერთი ფეხი ძლივს იმართებოდა; კიბე გადიოდა ვითომ-და მუაჯარზედ, რომელიც ერთობ ვიწრო იყო და გადმოსცქეროდა ძირს არეულ-დარეულ ქოხებს, ერთი-ერთმანეთზედ მიკრულ-მიტყუპულებს მერცხლის ბუდესავით. მისი ერთად ერთი ორჩო-ფეხებზე შემდგარი ოთახი წარმოადგენდა გალიას მხეცთა სამწყვდევსა, მხოლოდ ოთახობა ეტყობოდა გარედამ ცის-ფრად გალესით და შიგნიდამ გაშპალიერებით. ეს ოთახი მალე მოიდნობდა სალომეს, რომ გასართობი საგანი არ გასჩენიყო. მას გაუჩნდა ვაჟი; უწოდა მას სატრფოს სახელი და ბატონიშვილის შემწეობით მღვდლის გაუგებლივ ჩაიწერა ჯობინაშვილად. სალომე მიდგა-მოდგა,

*) იხილე «ივერია» № 63, 64, 67, 68, 69 და 70.

ადგილას დიდი ხაზინაა დაფლულიო, ფულის გარდა ბევრი სხვა განძიცაო.

დადიანეთის პირ-და-პირ ერთს მიუვალ კლდეზე ციხეა ამართული. შორიდგანვე შეატყობს კაცი, რომ ციხეს მიდგმული აქვს დაბლა ცალკე ოთახი. ამბობენ, ამ კარაპანშიც ხაზინა სძევსო, მაგრამ ეშმაკების ბუდეა დღესაო, იქ მისვლა ყოვლად შეუძლებელი არისო. მარტო სახელი სოფლისა «დადიანეთი» გვამხილებს, რომ ეს სოფელი თვისის ნასასახლარებით ოდესმე დიდებული სოფელი ყოფილა, და, მაშასადამე, ისტორიული ადგილი უნდა იყოს იგი სოფელი. საკვირველია, ღმერთმანი, სად «დადიანი» და სად ეს სოფელი, რომელიც ყოველის მხრივ შემოზღუდულია მთებით და პატარა მდინარის პირზე სძევს! მდინარესაც სოფლის სახელი დარქმევია—დადიანურა.

სოფელს იგორთის ზევით სძევს სოფელი გორინთა, ქართულის თეატრის მამა-მთავრის, ჩვენის პოეტის გ. ერისთვის ოდესმე საზაფხულო რეზიდენცია. ამ სოფლიდგან ჩრდილოეთით ერთს პიტალო კლდეზე ციხე გადმოიყურება. ხალხის გარდმოცემა ამბობს, რომ აქ, ამ ციხეში მდევის ნამუხლარი და სისხლი არისო. მდევის სისხლს ხალხი წამლად ხმარობსო. ცხრა მმაში ერთი სოფელია, სახელად უგან-უბანი. ამ სოფლის პირში ციხეა, ციხესთან დიდ-მალი ნასასახლარებია. ამ სტრიქონების დამწერს ეს ფრიად შესანიშნავი ადგილები მინახავს ამ 12—13 წლის წინეთ. უეჭველია ამ ნასასახლარებს ახალ-გორელები ვერ მოიგდებდნენ ზურგზე და აქვე იქნებიან!.....

## დამაკვირდი!

ქალი სიყვარულის ჭაბუკთათვის, მეგობარია ვაჟ-კაცისათვის და ძიძაა მოხუცისათვის. (ოქსენტიერნი)

* * *

სიცოცხლე ადამიანისა მოაჯირული ჩრდილია და სხვა არა-რა. (შექსპირი)

* * *

სულ-გრძელოვან კაცთათვის დავიწყება წამალია წყენისა. (სირუსი)

* * *

ნება აღსრულდების, რა გული მართალი უძს კაცსა. (სარგის თმოგველი)

* * *

ნამეტნაობით უფრთხილდი
მოყვრის შურისა გზასა,
ერიდე ცრემლსა მტრისასა,
ნუ მისდევ თავის ნებასა.
(მეფე ვახტანგ VI)

* * *

როგორც არ არის უცოდო
კაცი, აგრევე უმადლო;
დიდად ზოროტის მყოფელსაც
სჭირს ცოტა რამ დაუმადლო.
(არჩილ მეფე)

* * *

ნუ მისცემ გულზედ უფლებას თვალთას,
თორემ აგირევს გზათა და კვალთას:
წაგიყვანს მრუდადა,
გატარებს ცუდადა,
დაგღალავს რებით.
(დავით გურამიშვილი)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბისმარკის საქციელი პოლიაკების გამოძევების შესახებ «Моск. Вѣд.»-ებს მოსვენებას არ აძლევს. ეს გაზეთი სრულიად თანაუგრძნობს ბისმარკს და ამბობს: თუ პრუსიის სახელმწიფო არასა ჰზოგავს და ძალადობასაცა ხმარობს, რომ თავის სამზღვრებიდამ უცხო ერების მეგობურნი მოიშოროს,—ჩვენ რატომ არ უნდა მივბაძოთ პრუსიას? განა ჩვენთვინ კი საჭირო არ არის მოვიშოროთ ნემეწცები, რომელთაც ჩვენი დასავლეთი სამზღვრები ლამის ხელიდამ გამოგვაცალონო.

ამას ყურის გდება და შველა უნდაო, ამბობს გაზეთი «Московскія Вѣдомости», რაიმე საშუალება უნდა მოვიპოვოთ, რომ ჩვენი სამზღვრები სამუდამოდ ნემეწცებმა არ ჩაიგდონ ხელში. ჩვენ ამას მტრობით კი არ ვამბობთ; ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვურჩევთ, რომ ბისმარკს სამაგიერო გადავუხადოთ და იმავე საწყაულით მივუწყოთ, რითაც იმან მოგვიწყოო. არა, რუსეთი არასოდეს არ მოინდომებს შეურაცხყოფა მიაყენოს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ჩვენთან მეგობრული განწყობილება აქვს. მაგრამ ეს კი რუსეთის მოვალეობაა, თავის ინტერესები დაიცვას და საქმე იქამდე არ მიიყვანოს, რომ ჩვენი დასავლეთი სამზღვრები უცხო ტომის სამფლობელად არ გახდეს. ჩვენ არც იმ საშუალებას მივმართავთ. რომელიც ბისმარკმა იხმარა: ჩვენ ძალადობის წინააღმდეგნი ვართ. ჩვენი მთავრობა სულ სხვა გზას უნდა დაადგეს: ნემეწცის მექარხნეები და ფაბრიკანტები უკანვე გერმანიაში კი არ უნდა გავრეკოთ,—იქ ისეც ვიწროობაა, — არა, ჩვენ ვურჩევთ მხოლოდ ესენიც და აგრეთვე სხვებიც, რომელნიც ჩვენ ქვეყანაში დასახლებას მოისურვებენ, დასავლეთ სამზღვრებს მოჰშორდნენ და აღმოსავლეთ რუსეთში გარდასახლდნენ, აქ ჩვენთვისაც და იმათთვინაც ადგილი საკმაო იქნებაო.

ამაზედ მეორე რუსული გაზეთი, სხვათა შორის, ამბობს, რომ ძალიან კარგი; სრული პატივსაცემია ამ გვარი კაცთ-მოყვარეობაო, თუმცა ვეჭვობთ კი, რომ მოსკოვის გაზეთი ამას წრფელის გულით აღიარებდესო. მარტო ერთს ვკითხავთ ტკბილად მოსაუბრე გაზეთსა: ნემეწცებმა თავის ნებით რომ არ მოისურვონ გადასახლება (რადგანაც ეს ადვილად მოსალოდნელიაო), მაშინ როგორღა დაატრიალებს გაზეთი კალამსო?.. აბა მაშინ გამოჩნდება ამისი ტკბილი ენა და კაცთ-მოყვარეობაო!

* * *

გაზეთ «Южный-Край»-ს ერთი თანამშრომელი როდისღაც პეტრე-პავლეს ციხეში ყოფილა დამწყვდეული და ეხლა მოუწადინია ამ გარემოების აღწერა. საპატიმროს გარეგან მოწყობილებას ასე გვიხატავს ავტორი:

ოთახი, რომელშიაც მე დატუსაღებული ვიყავი, კარგად ფართო იყო და, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ჰიგიენურადაც კარგად იყო მოწყობილი: მშრალი და თბილი იყო, მხოლოდ გარეგანი შეხედულობით სრულიად აკლდამას მოგაგონებდათ: კედლები ზემოდ თაღებით იყო ამოყვანილი და ერთად-ერთი მავთულებით გადახლართული პაწია ფანჯარა თითქმის ჭერში იყო მიკრული. ოთახის მორთულობას ერთი რკინის საწოლი, უბრალო სტოლი და სკამი შეადგენდა; კარებში პატარა ფანჯარა იყო ამოჭრილი, და ხან-და-ხან ამაში შემოიხედებოდნენ ხოლმე. ამავე კარებში, ცოტა უფრო ძირს, ერთი ოთხ-კუთხიანი ფანჯარა იყო კიდევ ამოჭრილი, რომელიც კლიტით მაგრა დაკეტილი იყო. ამ ფანჯრიდამ სადილსა და ჩაის გვაწვდიდნენ. სტოლზე პატარა სახარება იდგა შავ ყდაში. ჭამა-სმა ციხეში კარგი მქონდა: გვაჭმევდნენ ორჯელ დღეში, სადილათ სამ თავს გვაძლევდენ, დილით და საღამოთი ჩაის პურით. ასე ცხოვრება მხოლოდ შეძლებულ სტუდენტებს შეუძლიანთ. დღესასწაულებში საჭმელს უკეთესს იძლეოდნენ, შობას და აღდგომას ხომ უკეთესს ველარ ისურვებდით. აღდგომას პასკას, წითელ კვერცხებს და ღვინოს გვაძლევდნენ. პაპიროზიც კი მუქთად გვეძლეოდა. ამას გარდა, ყველა ტუსაღს, ვისაც კი საკუთარი ფული მოეპოვებოდა, შეეძლო, რაც უნდოდა ის ეყიდნა, მხოლოდ ზედამხედველს კი უნდა სცოდნოდა. თამბაქოს და თითქმის ღვინის ყიდვასაც არავის უშლიდნენ: მხოლოდ ღვინის თაობაზე უნდა ექიმს დაჰკითხოდნენ და არ იყო მაგალითი, რომ ექიმს უარი ეთქვას ვისთვისმე.—მარტოობა კი ძალიან მტანჯავდა, დატუსაღებული, ნამდვილად განდეგილია, სრულიად განცალკევებული და ყველასგან განშორებულია. მოსამსახურეთ ჯარის კაცები არიან და ისე არიან გაწვრთნილნი, რომ, როდესაც დილაობით ოთახის დასალაგებლად შემოვიდოდნენ, კრინტს ხმას ვერ ამოაღებინებდით. ხანდა-ხან გული მოგივიდოდა და გაბრაზებული ლანძღვა-გინებას დაიწყებდი, მაგრამ ამითაც ვერას გახვიდოდი: ის ყურსაც არ გაიბერტყდა, თითქო არც კი გაუგონიაო. ყველაზედ მძიმე ასატანი ეს იყო.

---

გაიცნო მეზობლები, მუშა დედა-კაცები, რომელთაგანიც ერთი მის ეზოში იდგა. მიჰყო მრეცხაობას ხელი და ამ დღე და ღამე უთოს ცეცხლის გამო ოფლით იღვრებოდა. ახლა კი დარწმუნდა სალომე, რომ აქაც, ამ დიდ ქალაქში, რომელიც მას სიმდიდრის ბუდედ მიაჩნდა, სადაც მას ყველანი ერთობრივ კმაყოფილნი ეგონა, სადაც ყველა ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ამ ქალაქშიაც მრავლად ყოფილან გაჭირვებისა და მწუხარების შვილნი; დარწმუნდა, რომ აქ უფრო ბლომად ხარკს ჰკრებავს სიღარიბე, რომ კაცს აბიწიერებს, სულს უფუჭებს, ნამუსს ართმევს; დარწმუნდა, რომ სოფლად ეს ხარკი სიღარიბისა აგრე-რიგად არა ხვდება ხალხსა. იქ მისი სული, შეუმწიკვლელია და შეუბღალველი. ხოლო იქნამდინ ველარ ჩაიდა მისი გონება, რომ განსაზღვრა: რა იყო მიზეზი, რომ სიღარიბე აქ, ქალაქში ხშირად აბიწიერებდა დაბალს, მუშა-მოწალმართე ხალხსა, და იქ, სოფლად კი, იგი ამ მხრივ ხელ-შეუხებელი, წმინდა იყო. ამ აზრმა ბევრჯელ გაურბინა თავში, მაგრამ ამიცანა სალომეს აუხსნელი დარჩა.—მას ეს უბანი, სადაც თვითონ იდგა, ასე თუ ისე აგონებდა სოფელს თავის განმარტოებულის ცხოვრებით, ქუჩების უწმინდურობით და უხალხობით. ამ უბნის ქუჩებზე იშვიათად თუ დაინახავდა ვისმეს, გარდა უბნის გასალახანავებულის, წვერებ გაწეწილის მიკიტნისა, რომელიც ბატონობდა და უფლობდა ამ არემარეში. სალომემ აქ პირველად შეიტყო, რა საზარელი შედეგი მოსდევს სიღარიბეს, რა უმწვერვალეს წერტილამდე მიჰყავს კაცი, რა ბიწიერების უფსკრულში აგდებს. ღამე ჯოჯოხეთად გადაექცეოდა ხოლმე. იგი მზად იყო ყოველს წამს, რომ მტერს ამაყად და გულ-მაგრად დაჰხვედრიყო და მის სულს ბიწიერების ხელი არ შეჰხებიყო. რამდენჯერმე გამოსცადა იგი უწყალო ბედმა, მაგრამ იგი ხალასად და ძლეულად გამოვიდა. რამოდენიმეჯერ გამოეცხადა ერთი მაცდური დედა-კაცი, რომ ჩაეგდო იგი ხელში, ეს ძვირფასი ნივთი და მოგებით გაეყიდნა, მაგრამ სალომე მაგარი იყო, როგორც რვალი და მისი დამორჩილება მაცთურმა ვერ შეიძლო, თუმცა თვისი ენა ბევრჯელ ტკბილად აუბნა. ცბიერმა ადამიანმა უცბად არ განუცხადა სალომეს თვისი სამარცხვინო განზრახვანი; ცდილობდა ნელ-ნელა შეეთვისებინა მისთვის და მერე ისრე გაება მახეში. ერთს საღამოს, როდესაც სალომე გაფიცხებული საქმობდა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ერთი გახარებული, სიცილ-კიჟინით შემოვარდა. სალომემ ერთი გვერდზედ კი გამოხედა და ისევ უთოს მიმართა.

— ოჰ, შვილო, შვილო! რა ნაირ შემიყვარდი, რა ნაირ! მინდა რომ სულ შენ ლამაზ თვალებს ვუყურო. რა იქმნებოდა, შვილო, რომ ჩემ გვერდზე გადმოსულიყავ; ყურს გიგდებდი უფრო, სამუშაოსაც გიშოვნიდი.

— არ იქმნებოდა ურიგო, დედა-შვილობამ, თუ კი სამუშაოს გამიჩენ როგორმე.

— უიმე, უიმე, გენაცვალე! რას მეუბნები... იშ, შვილო, მე რომ შენს ალაგას ვიყო, უფრო სხვაფრივ დავიჭერდი საქმეს... შე გაგლეჯილო, რა კარგი რამე ხარ; შენი თვალები ერთს ქალათ ღირს... ბევრი ქალი მყოლია და მიმიფანიერებია, ალაგზე მიმიგდია, მაგრამ შენისთანა კი არ შემხვედრია.

— ცხადათ მითხარი, დედა-შვილობასა, რა გსურს ჩემთვინ.

— სიკეთეი, დედა-შვილობამა, სიკეთეი! მაშ სხვა რა?

— ვითომ რაო, გინდა გამათხოვო?

— ჰო და რა არის, შვილო! გათხოვებაც არის და გათხოვებაცა... ეგ უნამუსობა არ არის. რამოდენი ხალხი ცხოვრობს ისე, რომა...

— გათხოვება რა უნამუსობაა, მაგრამ მე გათხოვება არა მსურს; ნურც გამაგონებ, დედა-შვილობასა.

— არა, შვილო, მე იმას ეამბობ, რომ გათხოვებაც რომ არ იყოს, განა ისე არ შეიძლება ცხოვრება. ჩემმა ცხონებამ ისეთი ხალხი ვიცი, რომ მე და შენ მოახლებათაც არ ვეკადრებით.

— გაჭირვებამ აგრე იცის, ჩემო დედა; აი ეხლა მე გაჭირვება მამუშავებს, და ამან დიდი კაცი და პატარა არ იცის; ვისაც ეს გაჭირვება კარს მიადგება, ყველას ამუშავებს.

— შენ კი გენაცვალე და, მოხვედი ჩემს ანგზე. ჰო შვილო და, გადმოდი ჩემთანა, ისე გაგამდიდრო, რომ შენს თავს შენვე დაჰპატრიდე.

— ასეთი შრომა არავის გაამდიდრებს.

— კიდევ ვერ მიმიხვდი, შვილო! ხა, ხა, ხა! ჰაი შე კუდიანო, შენა.

— განა რას მეუბნები, განა რა სამუშაოს მიწყებ?

— ხა, ხა, ხა! ჩაიკასკასა ცბიერმა ბებერმა: ვინც შენა გნახამს ჩემთანა, სიცოცხლეს დალევს, მთელს ცხოვრებას ჩვენთან დავატოვებინებთ.

სალომემ უთო შეაჩერა, სახეზე ცხელმა ალმა აჰკრა, გული აუძაგძაგდა, შეეზარა და შეეზიზღა ეს ცბიერობა ადამიანისა და გაკვირვებული მოუბრუნდა:

— რას მიკვეთინებ, ჰა? და დასდო უთო.

— რას უნდა გიკვეთინებდა, შვილო!.. რასა ჯავრობ, ჯერ გაიგე მე შენთვის რა სიკეთე მინდა.

— მაინც?

— ისა, შვილო, რომა რას უნდა გამორჩე ეგრე ყოფნითა, მე გიშოვნი ისეთს ლუკმასა, რომა სამუდამოდ...

— გაჩუმდი, მესმის, რასაც მიკვეთინებ, გააწყვეტინა ბებერს ხმა. მიეიდა, ასწია მუთაქას, გამოიღო ქარქაშიდამ ხანჯალი და შემოუტია მრისხანედ ბებერს:

— ამას ხედავ? ამითი გაგიგმირავდი მაგ უნამუსოებით სავსე გულს, მაგრამ ამ გზობით შემიწყალებიხარ; მეორედ შენი აქ მოსვლა და ამის გასისხლიანება ერთი იქნება. მოაველო ხელი ბებერს და ყირწა-ყურწა გამოაგდო სახლიდამ.

—

გავიდა რამდენიმე წელიწადი; სალომეს შვილი მოეზარდა. მან ბინა იცვალა; უფრო გვარიან ალაგას გადმოსახლდა; სალომე მუდამმა შრომამ გასტეხა: დაჰკარგა ის ვარდის ფრად გადაშლილი სახე, თვალები ჩაუქრა და აღარა სცემდნენ იმ ელვარებას, რომლითაც კაცს იტაცებდა. ეხლანდელი სალომე იყო აჩრდილი, მქრალი სურათი წარსულისა, როცა იგი სდუღდა სისხლ-ხორცით და სიცოცხლითა, როცა ის აღფრთოვანებული იყო მომავალის ტკბილის ცხოვრების წარმოდგენით. მისმა დედამ გმირისეულმა ბევრი ტანჯვა გამოიარა; ეწამა იგი ხორციითაც და სულიითაც; სასამართლომ იგი პასუხის გებაში მისცა; ნახევარი თავის სარჩოსაბადებელი გადააგო თავის დასხნაზე, მაგრამ მაინც სწვნია პატიმრობა. რითაც იყო დაიხსნა თავი გაწვალებულმა და გაწამებულმა. იგი ღრმად დარწმუნდა თავის თავის სირეგვნესა და სისულელეში; ბევრი აყვედრა თავს; ბევრჯელ დაალტო თვისი სარეცელი, მაგრამ წარსული ველარ დააბრუნა. მორჩა რა წვა და დაგვას, ეს გაწვალებული გმირისეული შეუდგა თავის ქალის კვალს, ე. ი. მასთან მისვლას, შენდობის მოთხოვნას და დაეედრებას, რომ შვილს ის ეტვირთნა და უკანასკნელნი ჟამნი წუთის-სოფელში ყოფნისა დაეტკბო. გმირისეული დადნა, გახმა შავად, თმა თოვლივით შაექმნა; მისი სხეული ტანი ცარიელს ჩონჩხსა-ღა წარმოადგენდა.

სალომეს ერთს დილას შემოესმა კარების კაკუნი. მან მაშინვე იგრძნო, რომ უცხო ვინმე იყო. ადგა კარის გამოსაღებად, მას შემოესმა ხმა:

— სალომე აქა სდგას? სალომეს ხმა ეცნო, ცახცახმა აიტანა და გული აუფართხალდა. მან ხელის კანკალით გამოაღო კარი. მას წინ დაუხვდა ხელში ყავარჯნით მოსხრუკული, სათვალებიანი ბებერი, გვემულის სახის გამომეტყველებით.

— შვილო, სალომე, ძრივს-ღა გცნობ, აი მოგიკვდეს დედა! სთქვა და გადაეჭდო შვილს. რამდენსამე წამს იყვნენ ამ მდგომარეობაში ხმა ამოუღებლივ; მხოლოდ ცრემლი, რომელიც ლაპა-ლუპით სცვიოდა იატაკზე, ამტკიცებდა მათს წუხილს და სინანულსა. გაშორდნენ. გმირისეული შვილის-შვილს მიეჯიგრა, რომელმაც გაოცებით შეათვალიერა.

— შვილო, მაპატივე! რაც იყო, დავივიწყოთ; საკმაოდ ვიტანჯეთ; დაბრუნდი ჩემთან; პატივი ეც ამ ძუძუებს, რომლებმაც გაგზარდეს და იმ ცხრა თვეს, რომლის განმავალობაშიაც მუცლად დამქონდი. სალომეს წასქდა ცრემლი და დედას კალთაში ჩაუდო თავი.

ს. მგალობლიშვილი

# უცხოეთი

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან მოწერილი ამბავი)

პარიჟი, 26 მარტს.

(დასასრული *)

მადნების საქმეს თან მოჰყვა რკინის გზების საქმეც. ეს გზები ერთის-ორის გარდა კომპანიებს ეკუთვნის. ერი თავდებია კომპანიის წინაშე, რომ შემოსავალი ექმნებათ. თუ ვინიცობაა გზამ შეპირებული სარგებლობა არ მისცა კომპანიას, ერივალდებულია შეუვსოს დანაკლისი. ამ ნაირი წესი ბევრგან არის მიღებული, ხოლო ბასი იმან გამოიწვია, რომ საქონლის გადატან-გადმოტანის ფასი მალიან დიდია საფრანგეთის რკინის გზებზე. მთელი ვაჭრობა და მრეწველობა იმას უჩივის და თავის დაფოლების მიზეზს ამ გარემოებას აწერს. ამას გარდა ფრანგებს არ მოსწონთ ის ამბავი, რომ უცხო ქვეყნების საქონლისათვის გადატან-გადმოტანის ფასი უფრო მცირეა, ვიდრე საფრანგეთის საქონლისთვის. ამ სიძვირის გამო ბევრჯელ მომხდარა, რომ ჩრდილო საფრანგეთის მექარხნეს თავის საქონელი შვეიცარიაში გასაგზავნად საფრანგეთზე კი არ გაუტარებია, არამედ ბელგიასა და გერმანიაზე.

ამისთანა ახირებული და ერის წინააღმდეგი მოვლენა უნდა ადრითგანვე მოსპობილიყო, მაგრამ რკინის გზის კომპანიები ისე ანგარნი და მასთან ძლიერნი არიან, რომ ვერაფერი დააკლეს. ერთის გამოძიებით აღმოუჩენიათ, თურმე რომ რკინის გზის კომპანიებს ცალკე თანხა ჰქონიათ და ამ თანხიდამ გაზეთებს თურმე ქრთამს აძლევდნენ, ჩვენკენ სწერეთო. მართლაც მალიან ბევრი მომხრე გაზეთები აქვთ კომპანიებს და ამით უნდა აიხსნას რომ ეს კომპანიები ასე ძლიერნი არიან. ამ მოვლენის მოწინააღმდეგე დეპუტატები ამბობენ, რომ ან რკინის გზები სრულიად უნდა ჩამოერთვას და ერთმა შეისყიდოს, ან საქონლის გადატან-გადმოტანის ფასები რომ დაწესდება ხოლმე ამ საქმეში მართებლობამაც მონაწილეობა მიიღოსო. ბასი ჯერ კიდევ არ გათავებულა და შედეგი ჯერ არა სჩანს. ეს კი ითქმის, რომ შესყიდვა რკინის გზებისა ჯერ ძნელია, ხოლო მართებლობა კი შეიძლება იძულებული შეიქნას და საქმეში ჩაერიოს და ფასი დააწევინოს. სენატმა საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ პირველ დასაწყის საერო სკოლებს საერო ხასიათი მიეთვისოს, რომ მასწავლებლად მარტო ერის-კაცები იყვნენ და სასულიერო პირებს არ შეეძლოთ საერო-სკოლებში სწავლება. თუმცა სენატის მარჯვენამ მხარემ და შუაგულმა ბევრი წინააღმდეგობა გაუწია ამ საქმეს, მაგრამ მაინც სამის ხმის უმეტესობით გაიმარჯვა.

სკოლებს ამისთანა ხასიათი იმიტომ მისთვისეს, რომ მასწავლებლის ვინაობამ და მდგომარეობამ ასე თუ ისე არ იმოქმედოს მოსწავლის რელიგიურს გრძნობაზე და ან აქედ არ გადახაროს, ან იქით. პროტესტანტი ვერ ისწავლის კათოლიკე მღვდელთან, ურია მოწაფედ არ გაუხდება მაჰმადიანს მოღას. საჭიროა, რომ მასწავლებელი მიუდგომელი იყვეს რელიგიურს საქმეებში. ხოლო მღვდელს თავის დანიშნულებისა და მდგომარეობის გამო არ შეუძლიან მიუდგომელი იყოს.

როცა სწავლა სკოლაში სავალდებულო არ იყო ყველასთვის, მაშინ მღვდელს შეეძლო მასწავლებლად ყოფნა, რადგან რაკი ფრანგები უმეტესად კათოლიკები იყვნენ, მარტო კათოლიკები ივლიდნენ, ეხლა, როცა სწავლა სავალდებულო შეიქმნა ყველასთვის, ურიას ან პროტესტანტს არ შეუძლიან, რომ არ იაროს სკოლაში. ამიტომ მასწავლებლადაც საჭირო ერის კაცი შეიქნა. ამავე მოსაზრებით საერო სკოლებში კათოლიკების ხატები და რელიგიური ნიშნები აღარ დასტოვეს.

სკოლებს გარდა ბევრს სხვა დაწესებულებასაც საერო ხასიათი მისცეს, ამ მხრით პარიჟის ქალაქმა იჩინა თავი. თითქმის ყველა სამკურნალო, ქსენონი და სამადლო თავ-შესაფარნი საქალაქო გამგეობის გადაწყვეტილებისამებრ ამ გვარის ხასიათისანი შეიქმნენ. უწინ ამ გვარ ადგილებში მომვლელებად ჩვეულებრივ მონაზონი ქალები იყვნენ. ქალაქმა იმ მოსაზრებით, რომ მონაზნები უფრო კათოლიკობას ჰქადაგებენ, ვიდრე უვლიანო, გარდასწყვიტა მონაზნები დათხოვილ იქმნან და მათ მაგიერ უბრალო ქალებს ჩააბარა მათი საქმე. როგორც ყოველი უმწვერვალესობამდის მისული მიმართულება სასაცილოა, ისე ეს მიმართულებაც, რომ ყველგან და ყველაფერს საერო ხასიათი ჰქონდეს, სასაცილოდ გახადეს, რადგანაც უკიდურესობამდე მიიყვანეს საქმე. აი საქმე რაში მდგომარეობს. პარიჟის ბევრს ქუჩებს და ბულვარებს წმინდანების და ეკკლესიების სახელები ჰქვიანთ; მაგ., *Saint-Michel*, *Saint-Germain*, *Saint-Marcel* და სხ. ქალაქის საბჭოს ზოგიერთს წევრებს ეს სახელები შეუსაბამოდ მიაჩნიათ და მათი გამოცვლა ჰსურთ. ეს სურვილი რომ შეასრულონ, 100 ეხლანდელს სახელზე 40 ახალი უნდა გამოიგონონ. მცხოვრებლები თავად ეხლა სჩივიან ქუჩების სახელების მალ-მალ ცვლასა და მაშინ რაღას იტყვიან.

გუშინ პარლამენტმა 33 კაცი აირჩია მართებლობისაგან მომავალის წლისთვის შედგენილის ბიუჯეტის გასაშინჯავად. თუმცა ეხლანდელი სამინისტრო იმ თავით დაჰპირდა, რომ არც სესხს ავიღებ, არც ახალს გადასახადს გავაჩენო, მაგრამ ეხლა, როგორც სჩანს, ერთიც მიუღია მას და მეორეც. ამორჩეული კომისია სრულებით რესპუბლიკელებისგან შესდგება, თუმცა პარლამენტში ერთი მესამედი მონარქიელები არიან. ეს იმის ბრალია, რომ ყველა რესპუბლიკელები მჭიდროდ შეერთდენ. 33 კაცში 21 უმწვერვალესის დასისა და სხვები ოპორტუნისტები არიან. მონარქიელმა დეპუტატებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს, რომ რესპუბლიკელნი ფინანსებს განაგებენო. ბიუჯეტს წუნსა სდებენ და ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის ფინანსები ცუდს მდგომარეობაშიაო. ჩვენ თანახმანი არა ვართ, რომ ან ვისესხოთ სადმე ფული, ან ახალი რამ გადასახადი შემოვიღოთო.

მართებლობა ითხოვს, რომ 75 მილიონი ფრანკის აღება მინდა ვალად და მაგდენივე გადასახადი უნდა დავაწესო დაწმენდილს სპირტზედ და პარლამენტმა ამის ნება უნდა მომცესო. ეს ასალები ვალი რომ დავუმატოთ ეხლანდელს ვალს, საფრანგეთს ერთ მილიარდ-ნახევარი ფრანკი ვალი ექნება.

დ. გ—შვილი

*) იხილე «ივერია» № 69.

# დეპეშა

27 მარტს

**ბელგრადი.** რუსეთის «წითელის ჯვრის» საზოგადოების სანიტარულ გუნდის პატივის-საცემლად ნადიმი იყო გამართული. ნადიმზე დასწრნენ ბევრნი მოთავენი სერბიის ლიბერალთა დასისანი. რუსეთის ელჩმა დალია სადღეგრძელო კოროლის მილანისა, ხოლო რისტიჩმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო დალია.

**დარმშტადტი.** მთავარმა ალექსანდრემ მისწერა დეპეშა თავის მამას პრინცს ალექსანდრე გესსენისას, რომ დიდთა სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას დავემორჩილებიო, მხოლოდ იმ პირობით-კი, თუ როდესმე შესცვლიან ამ გარდაწყვეტილებას აღმოსავლეთ-რუმელიის შესახებო.

28 მარტს

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გაათავა განხილვა ნავთის გამყვანის მილის პროექტისა ასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდე. ეხლა ამ პროექტს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენენო.

ნიჟეგოროდის იარმარკის გამგეობისათვის შედგენილის წესების პროექტი ვაჭრების რწმუნებულთა კრებამ უკან დააბრუნა, რომ ხელ-ახლად განხილულ იქმნას.

**ტაშკენტი.** ის ხმა, რომ ვითომ ჩრდილო ავღანისტანს მოვიდა გარდაცვალებულის ბუხარის ემირის უფროსი შვილი კატტი-ტიურიო, არ გამართლდაო.

**ათინა.** პალატის გუშინდელს კრებაზე ყველა ორატორმა სთქვა, რომ ომია საჭიროვო. ერთმა წინააღმდეგთა დეპუტატმა დაიწყო ლაპარაკი, რომ საბერძნეთი საომრად უძლურიაო და საზოგადოებამ სტვენა დაუწყო ამ დეპუტატსაო. დეპუტატი ჩამომავლობით კრიტელი ამტკიცებდა, რომ კრიტი აღსდგება, გამოცხადდება თუ არა ომიო.

**ლონდონი.** გუშინ საღამოს საზოგადოებათა პალატას გლადსტონმა წაუკითხა და განუმარტა თავისი პროგრამმა. ირლანდიის შესახებ მან სთქვა, რომ ინგლისი და შოტლანდია მხოლოდ მაშინ იხმარებს ძალას, როცა ყველა ღონის-ძიებასა სცდის მორიგებისასო და წინადადება მისცა, რომ დუბლინში დააწესეთ ცალკე პარლამენტიო, რომელმაც უნდა განაგოს ყველა კერძოდ ირლანდიის შესახები საქმეებიო. ამ საგანზე ბასი ჯერ არ გათავებულაო.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა კანონ-პროექტი, რომ 900 მილიონი ფრანკი ისესხოს მმართებლობამ.

### «ივერიის» ფოსტა

ქ. გ—რს ა. გ—ელს. თქვენს უკანასკნელს წერილს არა ვბეჭდავთ: მკითხველთათვის საყურადღებო არა არის-რა.

მ—ს გ—ს ვ-ს. ჩვენცა ვწუხვართ, რომ ეგრე მოგქცევიან, მაგრამ ადვილად მისახვედრია მიზეზი, რომლის გამოც ვერა ვბეჭდავთ თქვენს სიას.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჳ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7394.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა—23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს ვერ ით და 6 დღით არის.

**მარტი 31 დღით არის**

29 დღე შაბათი. ღირსისა მარკოზ ეპისკოპოს. კირილე დიაკონისა, სომ. წმ. მამისა სომეხთა გრიგოლ განმანათლებლისა ხაროში ჩაშვება. კათ. ევსტაზისი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—18. ტფილისში მზე ამოდის 5—28; ჩადის 6—36. მთვარე ამოდის 9—55; ჩადის 12 შღ.

30 დღე კვირა. ღირსისა იოანესი, ზოსიმე ეპისკ. კათ. *mater dolorosa*. პირველი ხარისხი მთვარისა საღამოს 11 საათ. 44 წ. იწყობა ტფილისში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—2. ტფილისში მზე ამოდის 5—26; ჩადის 6—37, მთვარე ამოდის 10—52; ჩადის 12—8 ნღ.

31 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. იპატი ეპისკ. ღირსისა აპოლონისა, წმ. იონასი. კათ. ბალბინისა, კორნელისა და ვენიამინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—46. ტფილისში მზე ამოდის 5—25; ჩადის 6—38. მთვარე ამოდის 12—1; ჩადის 1—1 ნღ.

### მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

| | |
|---|---|
| 1 გირვ. | 5 კ. |
| ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხ. სა. | $2^1/_2$ » |
| » » 2 » | 2 » |
| ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა | $4^1/_2$ » |
| მე-2 ხარისხისა | « 3 |
| მე-3 — | $2^1/_2$ » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 » |
| 2 — | 7 » |
| ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი | 14 » |
| ცხვრის ხორცი | 9 » |

### ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.

სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

### მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.

კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.

კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.

ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.

კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.

კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.

ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკიდა კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.


### განცხადებანი

ქ. ქ უ თ ა ი ს ს

დუკლაკის და კ° კირის ქარხანაში

**ისყიდება საუკეთესო კირი**

ა მ ფ ა ს ა დ:

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელის კირისა . . . . . 75 მ.

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელისვე კირისა ვაგონში დადებით 78 მ.

მსყიდველების თხოვნისამებრ ამ ფასად კირი შეიძლება გაიგზავნოს ვაგონებით ქ. ტფილისს, ბათუმს, ფოთს და ამიერ-კავკასიის რკინის-გზის ყველა სტანციებზე. გადასატანი ფასი მსყიდველმა რკინის-გზის მაზანდის მიხედულობით უნდა გამოგზავნოს.

ბათუმში კირის გასყიდვის აგენტად არის ბ-ნი ნ. შადინოვი; იქვე არის კირის საწყობი. (12—9)

გრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**რუსულ ქართული ლექსიკონი**

ხელ-ახლად გადაკეთებული ახალს ლექსიკონებზედ და გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან.

ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ. (10—1)

**„თამარ ცბიერი“**

ისტორიული დრამატიული პოემა

აკაკისა,

ისყიდება მორჯის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპეკტზე, მუხრან-ბატონის სახლში და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.

**საქართველოს**

**საეკკლესიო ისტორია**

შედგენილი მოსე ჯანაშვილის-მიერ

ისყიდება: ტფილისში შემადგენელისას (Куки, Михайл. ул. № 42, д. Г. Д. Картвелишвили) და ჩარკვიანისა და გრიქუროვის სამწიგნობროში; ყვირილას მწყემსის რედაქციაში, ქუთაისს ძმ. ჭილაძეების სამწიგნობროში. ფასი 45 კაპ.